## ხელშეკრულება № 02-03 / 174

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 21 აგვისტო 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „I GPS ოპერატორი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ნოზაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის სპეციალიზირებულ ვებ–პროგრამაზე დაშვება, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტთან შეთანხმებული და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტ(ებ)ის ადგილმდებარეობის მითითებას გლობალური პოზიციონირების სისტემის გამოყენებით და დაშვებული სიზუსტით; (შესყიდვა ხორციელდება საკუთარი შემოსავლებით).

1.2 დანართი 1–ში შესაბამისად აღნიშნული მომსახურეობის სპეციფიკური სახეებით უზრუნველყოფა დამკვეთის სურვილისამებრ, ამავე დანართით განსაზღვრული ფასის მიხედვით;

1.3 დანართი 2–ში ჩამოთვლილ ობიექტ(ებ)ზე უკვე დამონტაჟებული სანავიგაციო მოწყობილობებზე მომსახურების გაწევა.

1.4 კლასიფიკატორის კოდი: CPV 63712700 – საგზაო მოძრაობის კონტროლის მომსახურებები.

1.5 ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 360,00 (სამას სამოცი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

### 4. მომსახურების მიწოდების ვადა

4.1 მომსახურების მოწოდება განხორციელდება 2019 წლის 1 სექტემბრიდან და გრძელდება 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენის გზით.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით,

მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფასურის შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. შემსყიდველმა ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი უნდა დაფაროს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
6.4 შემსყიდველის მიერ ყოველთვიური გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს უფლება აქვს შეწყვიტოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით;
6.5 მომსახურების გაწევის განახლება წარმოებს შემსყიდველის მიერ მომსახურების (სააბონენტო) ყოველთვიური გადასახადის გადახდის შემდეგ;
6.6 ყოველთვიური გადასახადის არასრულად გადახდა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ვადის გადაცილება.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
– შემსრულებელთან შეთანხმებით შეცვალოს შეთავაზებული მომსახურების კომპლექტი მომსახურების პაკეტში;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
– უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
- ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი დაფაროს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
- გამოიყენოს მის კუთვნილ ობიექტ(ებ)ში დამონტაჟებული სპეციალური მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ და შეთანხმებული წესების მიხედვით;
- დაუყონებლივ აცნობოს შემსრულებელს სპეციალური საშუალების გაუმართაობის ყველა შემთხვევის და/ან ობიექტის რემონტის ჩატარების შესახებ;
- სისტემის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად, ობიექტ(ებ)ი განათავსოს გლობალური პოზიციონირების სისტემის და მობილური კავშირის დაფარვის ზონაში;
- არ გაუმხილოს მესამე პირებს შემსრულებელთან შეთანხმებული საიდუმლო ხასიათის ინფორმაცია;
- თვითონ და/ან შემსყიდველის ბარათში ხსენებული უფლებამოსილი პირები, შემსრულებლისათვის ხელმისწვდომი იყვნენ 24 საათის განმავლობაში, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელი დამდგარ ყოველგვარ შედეგზე იხსნის პასუხისმგებლობას;
- არ გადასცეს მესამე პირებს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული უფლებები და ვალდებულებები, შემსრულებლის წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- ობიექტ(ებ)ის მესამე პირზე გაყიდვის ან სხვა ფორმით გადაცემის შემთხვევაში აცნობოს მას იმის შესახებ, რომ ობიექტ(ებ)ი სისტემით არის აღჭურვილი, ამასთან შემსრულებელს წერილობით აცნობოს გაყიდვის ფაქტის ან ობიექტ(ებ)ის სხვა პირზე გადაცემის შესახებ. ასეთ შემთხვევაში წარმოებს წინამდებარე ხელშეკრულების გადაფორმება მომსახურების გაწევაზე - შედარებითი აუცილებლობის დროს - მხარეს შორის ანგარიშგების გადამოწმება;
- შემსრულებელი ვალდებულებას იღებს რეგისტრაციაში გაატაროს და შეინახოს სისტემის ფუნქციონირების მონაცემები სამი თვის განმავლობაში. ასეთი მონაცემები კლიენტს შეიძლება წარედგინოს მხოლოდ მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- უზრუნველყოს სპეციალიზირებული ვებ–პროგრამის შეუფერხებელი ფუნქციონირება;
- უზრუნველყოს კლიენტისთვის სპეციალიზირებულ ვებ–პროგრამაზე შესაბამისი დონის დაუბრკოლებელი დაშვება და ამისთვის საჭირო ინფორმაციის დალუქული კონვერტით მიწოდება

კლიენტის მიერ შესაბამისად უფლებამოსილ პირზე;
- მოწყობილობების დამონტაჟებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში მათი დაზიანების, გაუმართაობის ან/და სხვაგვარი დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში შეცვალოს ისინი 15 სამუშაო დღის ვადაში (გარანტია არ ვრცელდება კლიენტის მიერ მოწყობილობების განზრახ ან ავტოავარიის შედეგად ფიზიკური, ან/და მაღალი ძაბვით (რომელიც აღემატება 28 ვოლტს), გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში.
- არ გაამჟღავნოს მესამე პირებთან კლიენტთან შეთანხმებული საიდუმლო ხასიათის ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- არ გადასცეს მესამე პირებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები კლიენტთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- წარუდგინოს შემსყიდველს სპეციალური საშუალების და ვებ–პროგრამის ექსპლუატაციის წესები.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა.

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.
8,7 მხარეები პასუხისმგებელნი არიან წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან მათ არასათანადო შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხლშეკრულების შესაბამისად;
8.8 შემსრულებელი პასუხს არ აგებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობაზე თუ ეს გამოწვეულია კლიენტის მიერ თავისი ვალდებულებების არაჯეროვნად ან/და არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის;
8.9 შემსრულებელი პასუხს არ აგებს წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული მოვალეობების შეუსრულებლობაზე თუ ეს გამოწვეულია გლობალური პოზიციონირების სისტემის, მობილური კავშირის და ინტერნეტ–პროვაიდერების მიერ მომსახურეობის შეზღუდვით ან ობიექტის რომელიმე აღჭურვილობის გაუმართაობის ან კლიენტისა და მესამე პირის მიერ მოწყობილობის დაზიანებით/გამორთვით;
8.10 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის გამო, თუ იგი არის დაუძლეველი გარემოებების (ფორს-მაჟორი: სტიქიური უბედურებები, აფეთქებები, საომარი მოქმედებები, ცვლილებები კანონმდებლობაში და სხვ.) შედეგი, რომელმაც გამოიწვია წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობა.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების პირობების შერულების კონტროლი

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების შესახებ, წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.4 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შერულების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს მატერიალურ–ტექნიკური განყოფილების უფროსი ჯუმბერ აბაშიძე.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ | შპს „I GPS ოპერატორი“ |
| მის. ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. #46ა | მის: ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ტ. ტაბიძის N86 |
| ს/კ 445399391 | სს ”თიბისი ბანკი”<br>ბანკის კოდი TBCBGE 22<br>ა/ა GE16TB7050436080100002 |
| დირექტორი | ს/კ: 404920289<br>დირექტორი |
| გოჩა ბერიძე | ზურაბ ნოზაძე |

Zurab Nozadze

Digitally signed by Zurab Nozadze
Date: 2019.08.21 16:14:20 +04'00'

**დანართი №1**
*თარიღი 21 აგვისტო 2019წელი*
*ხელშეკრულება N* **02-03/174**

## ფასების ცხრილი

| N | CPV კოდი და დასახელება | მომსახურების დასახელება | ტრაქტორების რაოდენობა | თვეების რაოდენობა | ერთეულის ფასი თვეში (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | CPV 63712700 საგზაო მოძრაობის კონტროლის მომსახურებები | შემსყიდველისათვის სპეციალიზირებულ ვებ–პროგრამაზე დაშვება, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტ(ებ)ის (ავტომანქანების) ადგილმდებარეობის მითითებას გლობალური პოზიციონირების სისტემის გამოყენებით და დაშვებული სიზუსტით; | 5 | 4 | 18.00 | 360.00 |
| **ჯამი** | | | | **ლარი** | | **360.00** |

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი''
დირექტორი
გოჩა ბერიძე

შპს „I GPS ოპერატორი“
დირექტორი
ზურაბ ნოზაძე

*დანართი №2*

*თარიღი 21 აგვისტო 2019 წელი*
*ხელშეკრულება N* **02-03 / 174**

| № | ტრაქტორის სახ.ნომერი (ლათინურად) | ტრაქტორის მარკა (ლათინურად) | ტრაქტორის მოდელი (ლათინურად) | გამოშვების წელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | BT657B | BELARUS | 82.1 | 2019 |
| 2 | BT749B | BELARUS | 82.1 | 2019 |
| 3 | BT752B | BELARUS | 82.1 | 2019 |
| 4 | BT753B | BELARUS | 82.1 | 2019 |
| 5 | BT754B | BELARUS | 82.1 | 2019 |

*კლიენტი*

*ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“*

*დირექტორი:*

გოჩა ბერიძე

*შემსრულებელი*

*შპს „I GPS ოპერატორი”*

*დირექტორი:*

ზურაბ ნოზაძე